



№ 1 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифლის, Типография Т-ва „Шрома“. Теофилу Ерастовичу Болквадзе.

ახალი წელი

რაჟრაჟის სიომ ფრთა-დაშვებით ბარს გაღურბინა,
 გამარცხულ ბუჩქებს ჩახეხია და შეპქვითინა,
 ცელქმა ჩიტუნამ ცის ეთერში შეისრიალა,
 შეკრთა ბუნება. . სიკოცხლის ხმამ გაიწყრიალა.
 ბოღმა-ნაგუმბა მთამ სიამით ამოიქშინა,
 მნათობთა მეფემ სხივი სტყორცნა და... გაუცინა.
 ლურჯმა ტატობმა მომხიბლავათ იწყო ციალი,
 ოცნების რაშმა ცათ მიჰკარგა სულის ტრფიალი.

აგერ, სოფელიც ფეხზე დადგა, — ისმის სიმღერა,
 წამით სიხარულს მისცემია მაშვრალთა კერა.
 ჩუ! ზარს ჩამოჰკრეს... ყინულის ქვეშ აკრთოლდა ველი,
 შორს, შორს საყდარში ისმის ტკბილი საგალობელი.
 ფუქსავატ გრძნობას აჰყოლია ბრბო უგონური,
 ირგვლივ განგაში... მილოცვის ხმა... ელერის ფანდურის!...

ჩემო ოცნებავ! შენ სხვა მხარეს გაჰკა კამარა
 იქ, სადაც ბედმა ჩვენი სატრფო დაასამარა.
 გაბედითებულ გულის სწრაფვას შეასხი ფრთები,
 გასწი, გაჰქროლე, გადაჰფრინე საშიში გზები.
 ნუ გვირდა ლხინი... ცას ვამხილოთ სწრაფვა სულისა,
 საკაცობრიო ჰიმნი შევთხზათ სიყვარულისა.

გულში ჩავიკრათ ფიქრთ სავანე, უცხო ტრფიალი,
 გავსცდეთ ჯოჯოხეთს... დავაობლოთ ხვედრი ტიალი.
 სანამდის სკოცხლობს ჩვენი რაში, — ჩვენი გონება,
 ამაყი სული, მკაცრ ცხოვრებას ნუ ემონება.
 დაე ვილტვოდეთ... უკუ-ვაგდოთ ბედის საზღვარი,
 ოცნების მხარეს ჩამოვრეკოთ აღთქმისა ზარი!...

სახალწლო ვიზიტები.

რადგან ავიაციის განვითარებამ 1910 წელს უმწვერვალეს წერტილამდე მიახწია, მეც მტკიცეთ გადავწყვიტე მისი ჰაერობლიანი გაცილები. ჯერ კიდევ 1910 წელს თავის სამგლოვიარო ძაძა არ აფეროდა და გასამგზავრებლათ სულ არ მომხადებუ-ლიყო, რომ დიდუბის საჯირითო მოედანზე ჩემმა ჰაერობლიანმა ფრთა ვაშალა და შევსრიალდით ცის სივრცეში. ქებურია გამეჯიბრა, ისიც უკან გამო-მიღდა, მაგრამ ჩქარა თავდაყირა ძირს დაეშვა და ფრთებ მოტეხილ ქათამივით დაიწყო ფართხალი დიდუბიდან პირდაპირ გადაფერინდი ფიქრის გო-რასაკენ და პირველი „ვიზიტი“ გაუწყეთ—

სათვგად-აზნაურო გიმნაზიას: კარები დავა-კაკუნე, ხმა არავინ გამცა, არავითარი ხმაურობა არ ისმოდა, თითქო ყველანი ღრმა ძილში ყოლილი-ყვეს. მეორეთ უფრო ძლიერათ დავაბრაზუნე შევა-ტყვე, რომ ვილაც თითის ფრჩხილებზე ჩუმთ მიი-პარაკვიდა და ქუქრულტანიდან გამოიზხედა.

— ვინა ხართ? მომესმა შემინებული ხმა.
— მე ვარ მე, თქვენი მეგობარი, მოვედი, რომ ახალი წელი მოგილოცოთ.

— გვიბრძანეთ სახალი, გვარი, მამის სახელი, წოდება, რა ხელობის ხართ და სხვა—მომესმა უფრო წათამამებული ხმა.

— რა ამბავია? რა მოხდა? რა საქიროა ყველა ეს?—გაოცებით შევეკითხე მე.

— აღბათ საქიროა—მომესმა პასუხი.

— თუ ავრა ვაშ ბარემ ჩემი მეტრიკა და სხვა დოკუმენტები ინებეთ—ვუთხარი მე და კარებ ქვეშ შევამჭრინე ყველა დოკუმენტები რაც ჯიბეში მქონდა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ კარები გამიღეს. გადადგი თუ არა ნაბიჯი იქვე გავშეშდი, შიშით გული კინაღამ წამივიდა.

იქვე კარებთან დარაზმული შემხვდა თოვ ია-რალში ჩამსხდარი გემნაზიის მასწავლებელთა მთე-ლი კორპორაცია. ტანთ ჯავშანი ჩაცევათ, თავები მუზარადში შეერქოთ, ხელთ თოვ ხარბაზანი ეწყრათ და მზათ იყვენ მტერთა შესამუსრავათ. ყველაზე წინ ვილაც ხმელ ხმელი კაცი იდგა და განკარგუ-ლიებას აძლევდა, ეტყოზობდა მეფადი უნდა ყოფი-ლიყოს. დავაკვირდი, ნაცნობი ბუნებნა, მაგრამ ვერ წარმოვიდგინე ვინ უნდა ყოფილიყო. ბოლოს გუ-ლიდან გაოცების ნიშნათ საშინელი ხმა აღმოიხდა.

— საშა! საშა! დაიყვირე და გადავხვიე. აბა რას წარმოვიდგენდი, თუ იარალში ჩამსხდარი და

საომრათ გამხადებული, გემნაზიის ინსპექტორი სა-შა იყო.

— რა ამბავია? რა მოხდა? გაოცებით შევეკითხე—რამ აგამხედრათ? ლეკები ხომ არ შემოგვე-სინენ?

— ლეკებზე უარესი, ჩემო გაბრიელ, დღეს ახალი წელია, ვშიშობ ჩვენი მოსწავლეები ძალიან არ დათვრენ და გვერდების მასაჟი არ გავგიკეთონ, გვეყო რაც გეზილეს.

პასუხი მეკიშმარბია, დავცმაყოფილდი ვუსურ-ვე კურპატკინის საომარი ტაქტიკა, სტესსელის იერიში და როუდესტვენსკის გამარჯვება, და მო-ვახტი ჩემს ჰაერობლიანს. გზა პირდაპირი მქონდა და

ქართულ თეატრს ვეწვიე. სიხარულით გავე-ქანე თეატრისკენ მიხდოდა ძმურათ გადახვევილი ჩვენს არტიტებს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ყველა კუნჭული დავათვალიერე, მაგრამ ვერავითარი სულდგმული ვერ ვნახე. ბოლოს ერთ კუთხე-ში ვიპოვენი მთვრალი მეყარე, როგორც იქნა ვა-ვაგებინე რისთვისაც მოვედი და ძლივს მიპასუხა:

— ჩჩჩეე ..ინ არა...ტი...სტიები! კოოო ტტტ... ეე მ დაააა-ტივა პპა... დდ... ვალში ა...რ... იან, რრრ...ეეეტი...ოციაზე

ღმერთმა მრავალ წელიწადს მანახოს ასე შენი თავი მეთქი ვუთხარი, გამოვედი გარეთ და კარებ-ზე მივადექი იქვე

ზაკავკასიის—ნელა შევადე კარები, მიხდო-და ზრდილობიანათ მიხილო ვახტანგიჩისთვის ახალი წელი მიწელოცა, მაგრამ ჩემს სალამზე პასუხი არ გამცა იქვე კარებთან ისე მაგრათ გადახვეოდა რუ-კოვიჩს და ჰკოცნიდა, რომ შემემშინდა ერთმანეთი არ დაახრჩონ მეთქი.

— ჩემზე იყოს მიხილი ვახტანგიჩ, ჩავახრჩობ ყველა გახეთებს და „ზაკავკასიე“ თ მოვედენ მთელ კავკასიას. უწურჩულებდა ყურში შმაგ სიყვარულით შეპყრობილი რუკოვიჩი

ღმერთმა მრავალი ასეთი წელი გავითენოსთ მეთქი მივამახე და გარეთ გამოვარდი. შევეჯექი ჩემს ფრთოსანზე. ერთი ფრთები შეიქნია და

ქალაქის თვითმმართველობის წინ ჩამომას-კუბა. ვფიქრობდი იქ ერთ საათს მიინც დავარჩებო-დი და კარგათაც გამიმასპინძლებოდნენ, მაგრამ ოპ, საკვირველებზე! თითქმის ყველა ოთახები და-ვირბინე, მაგრამ ვერავითარი სულდგმული ვერ ვნა-ხე. ბოლოს ერთ ოთახში წავაწვდი საკვირველ ამ-ბავს რამდენიმე ახალგაზრდას მოეშვათ წყლის კრანები და სვამდნენ, იბერებოდნენ, რაც პირში არ ეტყოდათ ჯიბეებში და ქულებში ისხამდნენ.

გავოცდი, გავშეშდი, ბოლოს ძლივს გავბედე კითხვა.

— რაზე იხილავთ ძმებო თავებს, რას იბედნიერებთ ამ ახალ წელიწადს წყლით გაბერვას მეთქი.

— ესე არს პური ჩვენი არსებისა! მოისინა ერთხმით პასუხი.

— ვინა ხართ თქვენ, ან რა სულდგმულნი? შევეკითხე მე.

— კანტალიორნი ქალაქის წყლისაყვანისა. ვსვამთ და განძღობა ჩვენი ძნელ არს

— სვით, შრიტეთ, მრავალსა წელსა ამინ! იყო ჩემი პასუხი მსწრაფლ გამოვბრუნდი და ჩემი ჰაერობლანი იქვე

ზაკავკახსკაია რენს— მიუფგორე კარებთან.

ძალიან გულით მწყუროდა ახლად ჯვარდაწერილნი მენახა და დამელოცნა. შევადე კარები ბნელა, არავითარი ხმაურობა არ ისმის. გავედი მეორე ოთახში. უკმაოდ გულ საკლავი ტირილი შემოემესმა, გავშეშდი, მივიხედ-მოვიხედე და საშინელი სურათი წარმომიძღვა ერთ კუთხეში მიმჯდარა ძია პართენი და გულ ამოსკვნით სტირის, მისი ცრემლები ზღვას ერთვის. მის წინ ცალ მუხლზე დაჩოქილი სდგას „ღუმეტი“ ხელთ აბრეშუმის ხელსახოცი უპყრია და სწმენდს მარგალიტებს, თან ანუღეშებს.

— ჩემო პართენ, ჩემო გზაზე დამყენებლო, ჩემო გამლიტერატორებლო, ჩემო გამზუბლიცისტებლო, ნუ სტირი გენაცვალე, ნუ დაუკარგავ შენ სთაყვანებელ საქართველოს მაგ ცრემლებს. შეგმუსრე, შენის წყალობით ინტერნაციონალისტები, შეგმუსრავ გიორგისაც.

— რა მოხდა, რა ამბავია? ბოლოს ვეღარ მოვითინე. და ვიკითხე— პართენმა თვისი აცრემლებული თვლები მომაპყრო და შემომყვირა:

— რაღა რა ამბავია, მომკლა ბატონო ვაბრიელ, გიორგიმ დღე ისე არ გავა, რომ არ მცემოს. ქვეყნის რომ არ მცხვენოდეს გავეყრებოდი. არ დავუღვედი იმას, რომ ჯვარ დაწერილები ვართ, მაგრამ რა ვქნა მცემს უმოწყალოთ.

— გილრკავ ასეთ ახალ წელს მრავალს მეთქი — სხვა ვერაფერი სანუგეშო პასუხი მი ეცი და გამოვედი გარეთ. ჩემი ჰაერობლანი

სახალხო გაზეთს მივაყენე კარებზე. ბებრი ვეძებ რომ ვინმე მენახა და მიმელოცა ახალი წელი და ბრძოლის ველზე მარტოთ დარჩენა, მაგრამ ამაოთ. ბოლოს ხელთნაწერების მთელ კალოს წავაწყდი. გადავქექე და უცბათ „მენავის“ თავი ამოეყუდა. შემეშინდა, მოჩვენება მეკონა, მაგრამ გამიღიმა, დამასწრო და მომაძახა: „ასეთი ახალი წელი

შენ გაგიოთენდესო.“ სირცხვილით გავწითლდი, მაგრამ რაღას ვიზამდი გამოვბრუნდი უკან და

სანოდალურ კანტორას მივადეკი კარებზე. შევადე კარები თუ არა და სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ მომცივინდენ აქეთ იქიდან წვრილ წვრილი მოხელებები და სასტიკი „ობისკი“ დამარტყეს. ვადმოპიბერტყეს ყველა ჯიბეები.

— მე კეთილსიმედო კაცი ვარ, რას მჩხრკავთ მეთქი— პრეტესტი განვახადე.

— იქნებ საკბილო რამ გქვებ ჯიბეში— იყო პასუხი, იქვე ახლოს რამდენიმე ნოხელეს იატაკზე ხარის ტყავით გაწეკობათ ვიღაც გამხდარი მღვდელი და სძიძენდინ. მისი ღრიალით ქვაც კი ატირდებოდა.

— ნუ შემქამეთ სულ, ცოტა ტყავი შემარჩინეთ, რომ ჩემ მშვიერ ცოლ შეილსაც ჩაუტანო რამეო— ყვიროდა გამწარებული, მაგრამ უკრს არავინ უგდებდა. ხელათ მოაქამეს ჯერ ახალუხის ჯიბეები, შემდეგ შალვრის. იქვე დაბალ შავ წვერა კაცს და მის ამხანაგს, გამხდარ-გამხდარ ახალ ვახდას მუცლებზე ხელები მოეკირათ და რაც ძალი და ღონე ქონდათ ყვიროდენ:

— არ ვაბეღოთ, თავი დანებეთ! მაგრამ ამაოთ ჩემს განცვიფრებას სახლვარი არ ქონდა ვეღარ მოვითინე და ვიკითხე:

— ალბათ აქაური არ უნდა იყოთ, ჩვენ კანტორაში კარგა ხანია შემოღებულთა სახმედრო წესები ეგვრთ წოდებული „სოფრომიზმი“, ძნელათ შემოვა აქ ისეთი კაცი, რომ ტყავი გაპყვეს მთელი. ჩვენ სულ ასე ვდგვართ და ვყვირით, მაგრამ ეგრა გავაწვევთ რა, ჩვენზე ილესავენ კბილებსო— მომცა პასუხი შავ წვერა კაცმა და გულ საკლავათ ამოიკენესა— ი დღეს ახალი წელია და ხომ ხედავ რა ყოფაში ვართო.

შემეცოდა, საშინლათ შემეცოდა.

— ღმერთმა ნულა გავითენოსთ ასეთი ახალი წელი, მეთქი წრფელის გულით ვუსურვე და გულ გახეთქილი გამოვარდი გარეთ

ამ არა ჩვეულებრივმა ამბავმა ისეთ ცულ გუნებაზე დააყენა, რომ თუმცა გულით მწყუროდა, მენახა ქუთაისი, გურია, ბათუმი, მაგრამ გადაწყვეტიტე ჩემი ვიზიტები საწყალკურთხეთოთ გადავსლო. მანამდე, თუ კი გუნებაზე დავდეკი, უნდა ვეწვიო ქუთაისს, გურიას და ბათუმს. ამ გადაწყვეტილებით ავუშვი ჩემი ჰაერობლანი და ჩამოვეშვი დიდუბის საჯირითო მოედანზე. ქებურია კიდევ იქ დამხვდა. თავის აპარატს აკეთებდა საშინლათ გაჯავრებული იყო და მემუქრებოდა.

— დამაცადე, არაფერია, ნახავ თუ ჩემს აბა-
რატს არ შევაკეთებ და არ გაჯობებო
— ასეც უქნია ღმერთს, რომ ვასილიევისთვი-
საც გეჯობნოს მეთქი, მაგრამ ამ ახალწელიწადს

კული საქმე კი მოგივიდა მეთქი და გავშორდი.
ასე კულათ გათავდა ჩემი საახალწლო ვიზი-
ტები.

მეზღაპა.



მზის წიაღში

მზისგან შობილსა, ოქროს კიანთ ალში განბანილს,
მიწამ მაჩუქა ღამის ჩადრი, შავი აჩრდილი,
აღმაფრენ იმედს, განუსაზღვრელს, ცით წარმოგზავნილს,
მან მიაგება სევდის თასი, შხამით აღესილი.

ველარ ვპოულობ მიწის მკერდზე სრულსა ნათელსა,
მულამ თანა-მდევეს განუყრელად აჩრდილი იგი,
მან მზით მონაბერ, ოქროდ გაშლილ კრიალა ქსელსა
შურის-ძიებით, შავ-უკუნის ჩასცა ტარიგი.

მძინარ ქვეყანას რომ ეწვევა ღუმილი ცისა,
ვარსკვლავთ ციმციმი ზღვას გაუმხელს პირველ ხვაშიადს,—
შავ აჩრდილს მპარავს იღუმალი სუნთქვა ღამისა,
ის უერთდება, გულში ეკვრის, ფრთა-გაშლილ წყვილადს.

მაშინ დავეძებ სულის ლტოლვით ჩემს მშობელ მზესა,
ცისკარს ვუყვივ ამომავალს, განთიადს ველი,
მსურს მივეგებო ხოტბა-შესხმით სხივოსან დღესა,
მსურს დავინახო ცის მნათობი, ცეცხლის მფრქვეველი.

მალე ვერცხლის თმას ძირს გადმოშლის დილის ცისკარი,
მოპარულ სხივებს მთვარე მორცხვად გააბნევს ველად,
ცეცხლის მახვილით გაიღება ლაყვარდ ცის კარი
და მზეც ამოვა, შოვლენილი სიცოცხლის მცველად.

და რომ სხივთ ისარს მკერდს მივუშვერ, ხელემ-გაშლილი,
მზისკენ ავაფრენ სულს განწმენდილს ოქროს ფრინველად,—
იმ წამსვე გვერდით გამიჩნდება შავი აჩრდილი
და ჩამჩურჩულებს: „შენთანა ვარ მეც განუყრელად!“..

დილის ცვარი მოკამკამე,
ვერცხლად ათამაშებული,
მეტის ღებნით ანატირი,
ვარსკვლავით ანთებული,
მზეს შესცინის, მის პირველ სხივს
იჭერს გაალმანებული
და სულსა ღევს, ორთქლად დნება,
წუთიერად არსებული.

კოკობ-ვარდი, ახლად შლილი,
იციღის როდის გათენდება,
ამბორს უყოფს მზის პირველ სხივს,
სპეკალ მტვერით აბზინდება,

ციურ ცეცხლში ნამს დააღწობს,
სიხარულით ატირდება,
სხივში დასწვავს ნორჩ სიცოცხლეს,
სუნ-მიმქრალი თითონ კვდება.

ტბის ანკარა ზედა-პირი,
ბროლის სარკედ ჩამოსხმული,
მზეს ეგება ფიანდაზად,
კის-ფრად აელვარებული,
მას ნიაფი განთიადის
აატოკებს ფრთა-შესხმული,
სხივთა კონა განიბნევა,
ოქროს ცვრებად დამტვრეული.

მთის ჩანჩქერი მოჩუბჩუხე
კრემლებს აფრქვევს კალთას კლდოვანს,
მზის ამოსვლას შესთამაშებს,
ჰიმნს უგალობს კეთილ-ხმოვანს,
ფრენით იქერს სხივთ ნაკადულს,
სურათს ხატავს ყვავილოვანს,
წინწყლებს ისვრის, სხივებს ამსხვრევს,
მიძიებს აწყობს შეიდ-ფეროვანს.

ცა-ფირუზი განთიადზე
ოქროს რიდით იკაზმება,
გულს იქარგავს მზის სხივებით
და ვარსკვლავთა კრებაც ღნება,
თვალთ წარმტაცი ცისარტყელა—
კის კიდურზე იხატება,
ზღვა ცას ერთვის და მზის სახე
მის უფსკრულში იკარგება,—

მაგრამ მზის სხივს განუყრელად
მუდამ დასდევს თან აჩრდილი,
მასთან ვრთად დანაბადი,
მასთან ჰქრება მიწის შვილი;
იგი არის ცეცხლის მტერი,
ჯოჯოხებით მოვლენილი,
ზეცამ იცის მისი ძალა,—
მასთან იბრძვის სხივ-გაშლილი.

მზევ მშვენიერო, მნათობთ მეფევე, ცხოველ-ყოფილო,
სიცოცხლის წყაროვე, საკურთხეველის ცეცხლო დიადო,
ლაქვარდ სივრცეში ოქროს სიმათა ამართოლმებელო,
სხივოსან ზღვაო, ქვეყნის დილავე და განთიადო!

შენსკენ ისწრაფვის, შენით სცოცხლობს ქვეყნად ყოველი
მხეცი, ფრთოსანი, ნაზი ია პირ-მოლიმარი,
უსულო მტვერი, მოზიბინე ზურმუხტ-ტყე-ველი,
ზღვის ცელქი ტალღა, დილის ცვარი, კრემლოთ დამდნარი.

თვით დედამიწა, შენს წიაღსა მოშორებული,
ცეცხლთ-ოკეანეს მგზნებარ ტალღად გადმონასროლი,
შობის დღიდანვე შენსკენ ილტვის გაქანებული,
კოდვის ტრიალით გზას იკაფავს მარადის მსრბოლი.

შენი მიღვივის გულში ცეცხლი აზვირთებული,
 და შენს სხივებში ვაწნავ სულის სათუთ სიმებსა,
 შენს სადიდებლად ვაქებ დილას სულით შევებული.
 და ღამის წყვდიადს კენესით ვუმღერ გლოვის ჰიმნებსა...

ოჰ, რად არ ძაღმის მოვიშორო ფრთა აჩრდილისა,
 სიკვდილის ნიშნად ქვესკნელიდან გადმონატყორცნის?
 სუნთქვა ღამისა უკუღმართის, შავად შლილისა,
 ნათელს ციურსა რად აბნელებს, სხივს რისთვის ჰკოცნის?!

ღამის ჩამქრობის მნათობის
 ვიხილე აღმოცენება,
 ეტლი ზრწყინავდა, ფრინავდა,
 ხილული ვითა ჩვენება.
 ჩრდილად მსხვერუელის, სხეულის
 ნათელმა იწყო შენება,
 ოქროდ შლილისა, დღისა
 ვიგრძენ აღმტაცი შენება.

ფრთებსა სწურავდა, სცურავდა
 ტოროლა დილის მხმოებელი,
 მნათობთ მეფისა-ფეხისა
 წყრიალით შენამკობელი.
 მზეს უყიოდა, ჰკიოდა
 ცისა ფრენითა მპობელი,
 ჰაერს არღვევდა, არხვედა
 მუსიკა დამათრობელი.

შორით გაისმა, ზარის ხმა,
 ცას ჰიმნი მოწყდა ღვთიური,
 სხივი აკრთოლდა, ათრთოლდა,
 აუღერდა ჩანგი ციური.
 სიმთა კისკისმა რისხვის ხმა
 ჩაახშო დემონიური,
 ჩრდილი გაქვავდა, აყვავდა
 გულის თქმა ტიტანიური.

მზევე, სხივ-მნათო, შენსკენ მივეჩქარები!
 შენს გულ-მეკერდზე მსურს ავაწყო სიმები;
 მეც ტოროლას ფრენით დავედარები,
 მეც მასავით მსურს მოგიძღვნა ჰიმნები.

შენს სტიქიონს, დაუძღვევდეს ჟამითა,
 მსურს ვეფრქვიო მიწის ობოლ ცრემლადა,
 რომ ჩემს აკვანს ნეტარების წამითა,
 დაუზბურუნდე სხივში დამწვარ ფერფლადა.

მსურს ვარსკვლავთა მოციმციმე ვერცხლითა
 მოგიქარგო გული ოქროდ გაშლილი;
 მსურს ვავაქრო შენს წიაღში ცეცხლითა
 დღდამიწის შავ-ფრთიანი აჩრდილი!

ზეცით-მოვიხმე ოქროს ნავი, ცდცხლში ნაჭელი,
და შევაცურე ლურჯ ვთერში ცის კამარადა,
მას მივანდევნი სულის ლტოლვა და ჩემი ბედი,
ჰაერს ვგვევთე, ავაჟღერე სხივი ქნარადა.

მზის ისრებს გავკეცე ცის კიდურზე, მაღლა ფრენითა,
სხივთ ოკეანეს ავუტოვე ტალღა მთრთოლვარე,
ზღვა უნაპირო ათამაშდა ზვირთთა დენითა,
გადიშალა თვალ-უწვდენი ცა-მოელვარე.

ოქროთ ჰვერილი ღრუბელთ გუნდი მწყობრად მტრინავი,
მთის მწვერვალს ჰბურავს, დედამიწას თავს დასტრიალებს,
ნავი კი მიჰქრის, ცად მიილტვის ლალად მკურავი,
ფირუზ-ტალღებში წინწკლებს ანთებს და მისრიალებს.

შავი აჩრდილი კი თან მომდევს, აღარ მშორდება,
ფეხებს მიკოცნის, მზეს ემაღვის, შეშინებულო...
დედამიწასა და ჩემს შორის სიმაღ გავება,
უკან მეძახის, ბოროტ ზრახვით ალტყინებული.

აჰა, მზის მკერდიც, მოგუზგუზე, გაუქრობელი,
თავს დამქათქათებს, გულში მწვდება ცეცხლთ ნაკადულით,
სხივს დავეწაფე, ალი შევსვი ცხოველ-ყოფელი
და ვეზიარე ცის კოცონზე მგზნებარე გულით.

ტალღათ ლივ-ლივში ნავი დადნა სხივად ჩაება,
ცეცხლის მორევში შევსრიალდი ხელებ-გაშლილი,
მარადისობის ვიგრძენ ძალა და უეკვდაება...
გაწყდა მიწისა შავი სიმი... მოკვდა აჩრდილი!..

ს. აბაშელი.



ბუნებაში.

(რამდენიმე სურათად)

I

მზე დასავლეთისკენ იწურება.

წითლად აელვარებული ცის კედელი, რომელიც ლურჯ, კამკამა ზღვას შეერთებია, თანდათან ფითრდება, სიზმარეთის ქვეყანას ემსგავსება.

ვღგვეარ ზღვის პირას და შორს, შორს მიმქროლავ ბუნების იღუმალეზას მივდევ ფიქრით. მოქანცული სული, რაღაც უჩვეულო, ჯერ განუცდელ ლტოლვათა აღძვრით ჰფეთქავს, ჰფეთქავს და თრთის. ის თითქოს მთლიან გამყვარა, თითქოს მთლიან მოიძულა ჩემი მოდუნებული, უღომობელ ცხოვრებისაგან გაჰქელილი ლეში და მიჰქრის, იმ სიზმარეთისკენ მიჰტრინავს.

ცი კიდური კი, უფრო მშვენიერდება ვხედვ რომ მზის სხივები, გულ დაწყვეტილ,

უსიკოცხლოთ ესალმებიან მთებს... ქალებს. პიტალო თხეში, რომელიც სხივთა შუქით წარმტაცად ბრჭყეილებდა, შავი მანტიით იმოსება, შუბლს იქმუნხნავს. მდინარის ცელქად სრბოლა, ტალღათ სიმღერა, ყრუ, გაღრკვეველ დუღუნათ იქცა. ეხლა იმის ჰანგებში, მხოლოდ მოწყენა, მხოლოდ ჩუმი ნალღევის ბგერა გაისმის.

ტყე გულ-საკლავათ ისუდრება. იქაც სიკოცხლე ინაბება, იქაც უსასობა ფრთასა შლის და, დამგლოვარებული ხეები მზეს მისტირიან, საყვარელ მზეს!

ირგვლივ სიჩუმე მეფდება.

აჰა, მზე მთლიან ცის კუნქულსთან მიიწურა, დამაღვას ჰლამაზს, ერთი წამიც და... ოჰ ღმერთო ჩემო! მზე, ქვეყნის მანათობელი მზე, რაღაც უსრულლებელ, თვალთათვის უჩინარ უბსკრულში ჩაინთქება!

ცი დასავალი-კი, უფრო გრძნეული ჰხდება, უფრო იზიდავს ბუნების იღუმალობით ალტყინებულ

სულს, ფიქრთა სავანე, სავანე, რომელიც მგოსანთა სანატრლოდ გამხდარა, რომელსაც ეძებენ და ჯერაც ვერ უპოვიან, აი, იქ, იმ სიზმარეთის კუნჭულში სუფევს. უცქერ ამ სანახაობას, უცქერ და მგონია რომ ცის ეთერი და ზღვა შეერთებას ჰლაპობენ, ჰა, კიდევ უნდა შეერთდენ მაგრამ არა, ჯერ კიდევ არ შეერთებულან. და... აი, ამ დროს წარმოგიდგება თვალთ წინ ის საუცხოო, ლტოლვის აღმძვრელი უცხო ქვეყანა. აგერ მოლივლივე ტალღები ცის, მკრთალად აფერადებულ კიდურს ჰკოცნიან კიდევ. თითქოს გიჟური გატაცებით უნდათ ჩაეკონონ ერთ-ერთს ბუნების ორმა დიადმა ძალამ;—ზღვამ და ეთერმა.

მზე თანდათან თვალებს ღულავს.

იქ, უკვე დაბინდულ აღმოსავლეთისკენ, გაცურეილ ცის მკერდზე, გრძნეული მთვარე მოიბარება. მას უკვე დაუღვია ძილის სამყარო და ქვეყნის საღარაჯოთ, ლავარდისკენ მიეშურება. რამდენადაც მზე უბსკრულისკენ იწვევს, იმდენად ის უფრო და უფრო შეუქონობს, უფრო გრძნეული ჰხდება. აგერ, ცის უსრულებელ წიაღზე, ერთი ვარსკვლავიც გაკრთა, შემდეგ მეორე. მესამე და... რამდენიმე წამის უკან დაბინდული ცა, ვარსკვლავებით მოიქედა.

ცის დასავალი, ამ დროს ისე წარმტაცი და ზომიბლავი აღარ იყო, მისკენ მიმქროლავ სულის იდუმალი მელოდია, აღმოსავლეთის მკრთალ ფერადებს შექვენსოდა.

მზე აღარ სჩანდა.

6. ჩხიკავძე.

სასახლწლოა სიმღერა.

ფრთები აისხი ჩემო სიმღერავ,
ოცნების ცაში ლაღათ შეფრინდი,
არ ამკენსარდ კეშნიანათ
არ მომაყენო სევდისა ბინდი.

გვეყო რაც ვღვარეთ ცხარე ცრემლები
ეჭვი ვატარეთ ვნებულ გულითა,
აწ იმედების მთა ავაშენათ
და ზედ მოვექცეთ სიძაღულითა.

დე უნუგეწო იყოს აწმყო დრო
გადავექსოვით მყოზად სიმთა,
ფაქიზი რწმენის წმინდა ცრემლები
„მსმენელს ვაფრქვიით შევების წვიმათა“

დავსძახათ: ვერა, ვერ ჩანარცებებს
ტანჯვის კოცონი მისწრაფებას,
გენიის აღში გამოწრთობილნი
ლიბოს შეუწყობთ სურვილ-ნებას.

მაშ შეგობარნო, მნათობთ კისკისა
შეუწყობთ ობოლ გულისა ძგერ,
სიმათლის მთისკენ გავკრათ კამარა,—
ნუ, ნუ მოიწყენს ჩენი სიმღერა!

დ. თურდოსპირელი.

წელი წელსა სცვლის...

წელი წელსა სცვლის, ეამი რბის მარად,
ძველის ნანგრევზე, ჩნდება ახალი,
მაგრამ მით ჩვენ რა?.. ისევ ის ძველი
მწარე მონობა, მოთქმა ვალდოი.
ნაღველსა გავსმევს დაუნდობელი,
ხელში უპყრია სიკვდილის ცელი,
მისთან არ ვადის არცა სიჩუმე,
არცა გულისა ვედრება წრფელი.
მაგრამ ჩვენ მაინც წელსა ახალსა
წინ მივეგებოთ, მივცეთ სალამი,
რადგანაც ჩვენთა თვალთა სარკეა,
ყოველი მისი განვლილი წამი.

გ. ჩახრუხაძე.

ახალი ამბები

კახეთის რკინის გზა—როგორც იქნა ბოლოს გადაწყდა კახეთის რკინის გზის გაყვანის ბედი. როგორც პეტერბურგიდან დეპუტით იტყობინებთან თავდაზნაურთა რწმუნებულთ უკვე დაუღვიათ ხელ შეკრულობა რუსის დიდ ბანკთან. დირექტორათ, თავდაზნაურობის მხრით აურჩევით პრივატ დოცენტი ავალიშვილი.

ექ. აღამალოვის მკვლელობა საქმე. 29 დეკემბერს სამხედრო სასამართლო შეუდგა ექიმ აღამალოვის მკვლელობა საქმის გარჩევას. პასუხის გებაში მიცემული არიან ცოლ-ქმარნი მარტირუხოვები პირველ დღეს მხოლოდ მოწმეების შეკითხვას მოუნდენ. სულ დაბარებული იყო 56 მოწმე. საქმე ორ დღეს გავრძელდა.

დღეს 30 დეკემბერს სასამართლომ დაასრულა საქმის გარჩევა მარტირუხოვს გადაუწყვიტეს ჩამოხრობა, მის ცოლს თამარას 20 წლის კატორღა.

ტოლმაჩევის გადაყვანა. როგორც „ნოვოე ვრემია“ იტყობინება ადვის გრადონაჩლინიკი სხვაგან გადაჰყავთ, მის ადგილზე კანდიდატთ ასახელბენ ბაქოს გრადონაჩლინიკ მარტირუხოვს.

რ. არსენიძის დატუხალება.—როგორც იუ-
რიდიდან იტყობინებთან ქ. იურივეში დაუტუხაღე-
ბითა და ციხეში ჩაუსვამთ სტ. რაჟდენ არსენიძე
დაპატიმრების მიზეზი არ იციან.

შავი ზღვის რკინის გზა. ამ ჟამად მთავრო-
ბა იხილავს შავი ზღვის რკინის გზის გაყვანის სა-
კითხს. გზა ტუაპსედან ახალ სენაკამდე უნდა გაი-
ყვანონ.

დებ. კ. ჩხეიძის საქმე. როგორც მკითხველებ-
მა იციან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლი-
პინმა წინადადება მისცა სახელმწიფო დუმას, დებუ-
ტატ ჩხეიძის დუმიდან გამოირიცხვის შესახებ, რო-
გორც უკანონოდ არჩეულის. სტოლიპინმა მიმართა
აგრეთვე თფილისის გუბერნატორს ჩხეიძე ამომრჩე-
ველთა სიიდან გამოგრიცხათ. ამ რამდენიმე დღის
წინათ საგუბერნიო საარჩენენ კომისიამ ეს საკითხი
განიხილა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წი-
ნადადება უარპყო, რადგან ჩხეიძეს არჩევა კანონიე-
რათ სცნო.

მატარებლის გადავირდნა. 26 დეკემბერს სად-
ჩაქვის ახლო ლიანდაგს გადასცდა სიფოსტო მატარ-
ებელი. დაზიანდა ორთქლ-მავალი და რამდენიმე
ვაგონი. მგზავრთაგან არავინ დაშავებულა. როგორც
გამოირკვა ბოროტ-გამაზრახველთ გზა გაეფუჭებიათ,
რომ მატარებელი გადაეგდოთ და შემდეგ გაეცარ-
ცვათ

ბავშვის წამება.—ს. სურებიდან (გურია) გვეწე-
რენ, რომ იქ საშინლათ უწყამებიათ ს. რამიშვილის
12 წლის ვაჟი. ავაზაკებს თითებიც კი დაეჭრათ სა-
ბრალო ბავშვისთვის, მთელ ტანზე რამდენიმე ქრი-
ლობა ქონდა ამ ამბით თავზარ დაცემული ხალხი
სასტიკათ შეუღღა დამნაშავეების აღმოჩენას და
იპოვნეს კიდევ ექვსი კაცი, რომლებიც უკვე გა-
მოტყდენ დანაშაულში, დამნაშავეები გაძლიერებუ-
ლი დარაჯებით ჩოხატაურში წაიყვანეს.

—ახალი გაზეთი.—30 დეკემბერს გამოვიდა
ახალი ყოველ-დღიური ორ კაბეიკიანი გაზეთი „სი-
ნათლე“ ი. როსტომოშვილის რედაქტორობით. „სა-
დღესიოთ, უპირველეს პირობად ჩვენის წინ სვლისა
და აღორძინებისათვის, ჩვენ მიგვაჩნია „სინათლე“
გაზეთის გამოცემა“ ასე გვეუბნება თავის გაზეთის მო-

წინავე წერილში ბ. როსტომოშვილი. როგორც ხე-
დავთ მთელი საქართველოს აღორძინების საქმე ბ.
როსტომოშვილის და მის გაზეთ „სინათლე“-ს უდვია
თავზე. ვნახოთ, როგორ შეასრულებს ამას მისი
გაზეთი.

ბარისულნი.

(სურათები)

I.

ცალ-თვალა.

გადმოწვება თუ არა მახათის გორაზე ბრწყინვა-
ლე შხის ოქროსფერი სხივი, ის თითქოს განგებ პირ-
ველად ცალ-თვალას მიწურ ოთახს შეანათებს. თით-
ქოს გაჯიბრებული იყვენ ის და ცალ თვალა. მშის
სხივს უნდა მძინარე ცალ-თვალას მოუსწროს, შეუ-
ღიტინოს, ძილი დაუფრთხოს და ფეხზე წამოაგდოს,
მაგრამ ამოათ, ცალ-თვალა მუდამ გამარჯვებულია.
ირაყრატებს თუ არა ის უკვე ფეხზე დასს. როცა
მშის სხივი ჩამოიჭრება მის მიწურ ოთახში იქ უკვე
დაკრიალებული და დაღაგებულია ყველაფერი. ცალ-
თვალა დერეფანში დგას და თავის ნიკორას ეალერ-
სება. ცალ-თვალას ერთი პატარა მიწური ოთახი
აქვს, ზევით მიწა, ქვევით მიწა, კედლები მიწის, თი-
ქო კოცხლათ დამარხულაო. თვეში ოთხ ვერცხ-
ლის აბაზს იხდის ქირას. მისი ოთახის მორთულო-
ბა მეტათ მარტივია ფეხ-მოტეხილი ხის ტახტი, და-
ფლეთილი ხალიჩა, დაკონკილი ლეიბ-საბანი, და-
ტგრეული ჯამ-ჭურჭელი, პატარა სარკე, კბილებ
ჩამტვრეული საფარცხელი, პატარა, გაქონილი ხის
ძველი სტოლი და სხვა. ცალ-თვალას მთელ ავლა-
დიდებსა შეადგენს პატარა ნიკორა ხბო. ის არის
მისი ერთათ ერთი ნუგეში მთელ ქვეყანაზე მხო-
ლოდ ის დარჩენია, მას ეალერსება, კოცნის, უზი-
რებს თავის ქირ-ვარამს და სიხარულს. გათენდება
თუ არა ცალ-თვალა გადაიკვამს თავის ძველ კონ-
კებს, თავის ქექით გარეთ გამოდის და უპირველეს
ყოვლისა თავის საყვარელ ნიკორასკენ გარბის, გა-
მოიყვანს დერეფანში, მოუჯდება გვერდით და შე-
ყვარებულ ვაჟკაცივით გადახვევს ზელებს, ეალერსე-
ბა ჰკოცნის. ნიკორაც გრძნობს ამ ალერსს, გრძ-
ნობს, რომ ცალ-თვალას ის უყვარს, სიამოვნების
ნიშნათ თითქოს იღიმება, პირს აღებს, თავის თეთრ,
ბრტყელს კბილებს აჩენს და მეტის სიამოვნებისგან
კულს იქნეს.

ცალ-თვალა უზომოთ ბედნიერია ამ დროს. მთელ მის სიცოცხლეს სიხარულს და სიამოვნებას ნიკორასთან ალერსი შეადგენს. ადამიანებისგან მოქულებული თანაგრძნობას მხოლოდ ნიკორას პატარა ქოლა თვალებში ხედავს. ეს თვლები მას მეტისმეტი ნდობით, სიყვარულით და სათნოებით მისჩერებოან. იქ არავითარ ბოროტებას ადვილი არა აქვს, იქ აშკარათ მოსჩინს ის, რასაც გრძნობს ნიკორას პატარა გული. ნიკორას და ცალთვალას კარგათ ესმით ერთმანეთის ლაპარაკი, ნიკორა თუმცა უხმოა, მაგრამ მისი ერთი ყურის გაქანებაზე ცალ-თვალა კარგათ მიხვდება რასაც ეუბნება ის. ცალ თვალს თავის პატარა ოთახის წინ მშვენიერათ დაკრიალებული აქვს ყველაფერი. როცა ნიკორას ალერსით ძლება შედის თავის ოთახში მიაღაც მოალაგებს ყველაფერს, გამხმარ პურს ჩალოდნის და ხან კერავს და ხან რეცხავს. ცალ-თვალს ცხოვრების უმთავრეს წყაროს შეადგენს სარეცხი. თუმცა ახლო მახლო მეზობლები ღარიბები არიან, მაგრამ თითო ოროლა სარეცს მაინც შოულობს, რომ ოთახის ქირა აიღოს და პური და კარტოფილი იყიდოს. ასე მიდის ცალ-თვალას დღეები. მისი ცხოვრება ერთფეროვანი და მეტათ მოსწყენია: მაწურ ქოხში ცხოვრება, გამხმარი პური და კარტოფილი, დილით აღრე ადგომა, ნიკორასთან ალერსი, შემდეგ სარეცხი ან საკრავი—ბევრიც რომ ეცადოს ცალ-თვალამ ამ დღიურ პროგრამას ის თავის დღეში ვერ გადაუხვევს. ასე მიდის მისი დღეები.

ჯერ კიდევ ახალგაზნდა ცალ თვალა, სულ ოცდაათი წლის იქნება. მარცხენა თვალი ჩაქუჩილი აქვს. მხოლოა ერთი თვალი შერჩენია, რისთვისაც ცალ-თვალა დაერქვა, მაგრამ მაინც ადვილი მისახვედრია, რომ ის მეტათ კოხტა და ლამაზი უნდა ყოფილიყო წინათ.

მართლაც საბედისთანა ლამაზი და კოხტა ქალი მთელ ქუეციანთკარში არავინ იყო. დიდრონი თაფლის ფერი თვალები, მხარ ბეჭზე გადაყრილი წაბლის ფერი გრუხა თმა, დაბრაწული ვაშლივით ატყეკილი ლოყები, მაღალი გულ მკერდი, პირველ მხებედვანედვე მიიპყრობდა ადამიანის ყურადღებას. ტანათ ზორბა მოსული იყო საბედო. ყოველ მის მიხვრა-მოხვრაში, ლაპარაკში და გამოხვედვაში სიცოცხლე იხატებოდა. რაც უნდა დასვედიანებული ყოფილიყავით მისი ერთი მხებედა, მოდიმარე სახე, მტკიცე გამოძეგვლები და გადაჭრილი ლაპარაკი გაგრძნობინებდათ, რომ ვისაც სურს იცოცხლოს, ცხოვრებას არ დაეჩაგრინოს, მან ანგარიში უნდა გაუწყოს ყველაფერს და მედგრათ შეუპოვრათ დახვდეს. ყველა ამ ღირსების წყალობით საბედო მთელი სოფ-

ლის საყვარელი იყო, ყველას უყვარდა. უმეტესად უყვარდათ ის ახალგაზრდა ყმაწვილებს, მისთვის დნებოდენ, მისთვის იგონებდენ სხვადასხვა საალერსო სიტყვებს, სიმღერებს. როცა დღესასწაულებზე საბედო სოფლის ბოლოზე დიდ მინდორზე მოათამაშე ახალგაზრდები ჩაეროდა, ყველას ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი. ბედნიერი იყო ის ახალგაზრდა, რომელთანაც საბედო ითამაშებდა. ყველა შურის თვლით უყურებდა მას. მაგრამ საბედოს გული მიუვალი, სალი კლდე იყო, მისი ატოკება ადვილი არ იყო, მხოლოდ ბედნიერს შეეძლო ამ მიუვალ ციხის აღება. საბედოს სწყუროდა ნამდვილი, წრფელი სიყვარული, მის სატრფო მისთვის ყველაფერი უნდა შეეწირა, მისი სიყვარული შმაგი უნდა ყოფილიყო, ვით პირველთა ჩამოვარდნილი თოვლი, მისი გული შეუდრეკელი და სიმამაცი აღსავსე უნდა ყოფილიყო, მის თვალებში სიმტკიცის, ძლიერების და შეუპოვრობის ცეცხლი უნდა ყოფილიყო აღაზღაბებული. აი ასეთ სიყვარულს ეძებდა საბედო, ასეთი უნდა ყოფილიყო მისი ტარიელი. მაგრამ ასეთი ჯერ არავინ არ სჩანდა. მთელი სოფლის ბიჭებს თვალები მისკენ ქონდათ მიპყრობილი, მაგრამ საბედო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მათ. საბედოს გული ერთგვართ გარკინებული იყო. მისი აძგერება ასე ადვილი არ იყო. მხოლოდ მარტო შაქრო ქისტაშვილი არ ცთილობდა მიექცია მისი ყურადღება, შეყვარებინა თავი. მას ის უყვარდა გაშმაგებით, გაგიყვით, მის აღზნებულ გულში მხოლოდ საბედოს სახე იყო ჩაბატული, მხოლოდ მისთვის ფართახლებდა ის. შაქროსთვის საყმარისი იყო მხოლოდ ერთი მისი მხებედა, თვალის გადაღება, ის ამ დროს უსაზღვრო ბედნიერებას გრძნობდა. უყვარდა ჩუმათ, დაფარულათ. ეს სიყვარული მხოლოდ მის გულში იყო მაგრათ ჩაქუტილი. როცა მათი თვლები ერთმანეთს მხებედვოდენ და საბედო დანახავდა მის ლანძულ სახეს, და აღზნებულ თვალეზს, რალაც სიამოვნებას გრძნობდა, მაგრამ ანგარიში ვერ მიეცა თავისთვის რახდებოდა მის გულში. საბედო გრძნობდა მხოლოდ, რომ შაქრო ყველასაგან გაირჩეოდა, რალაც უფრო მეტ მიშრიდგობობას გრძნობდა მისადმი. ასე გადიოდა დრო. ბოლოს ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ ისინი საბოლოოთ შეერთა და მათი ცხოვრება სამუდამოთ მაგრათ გადაჯავა.

სოფელ ქუეციანთკარს, სადაც საბედო ცხოვრობდა, სთფლის ბოლოზე მშვენიერი ანკარა წყარო ჩამოუდის. ეს წყარო კარგა მოშორებით არის სოფელზე. სოფლიდან მიდის ბილიკი. ამ ბილიკს მარცხნით დიდი ხევი ჩამოუდის მარჯვნივ ფრიალო

კლდე ასე რომ ორი კაცი რომ შეხვდეს ერთი მეორეს გვერდს ვერ აუხვევს, ან ერთი უნდა დაბრუნდეს და ან მეორე. ყოველ სალამოს სოფლის გოგოები მოიყრიდნენ თავს და სიმღერით სიცილი-კისკისით გაემართებოდნენ ხოლმე წყაროსკენ კოკებით ხელში. საბედო მათი ბელადი იყო, ისე წყაროზე არ წაეწოდნენ, რომ საბედო არ ხლებოდათ, ყელ მოღერებული, ის მიდიოდა ყველაზე წინ. საუცხოვო სანახაობა იყო. ერთი მხრით პირდაღრენილი უძირო ხევი, მეორე მხრით ტიკაბო კლდე, შუაში გველივით დაკლავნილი ბილიკი და ზედ გამწყვრივებული სიკოცხლით და ჯან ღონით სახე ახალგაზრდა გოგოები. მათი წკრიალა ხმა ხან ხევის ძირს ჩაეშვება, სიკოცხლის სულს ჰბერავს მის ჩაბნელებულ გულს, ხან ტიკაბო კლდეს ეხეთქება და იქიდან გამოტყორცნილი იზნევა ხევის პირათ გაშლილ მინდორზე. ლაღ ბუნების შვილთ არ იციან რა არის ქმუნვის ღრუბელი, ასე სიცილ კისკისით მიდიოდნენ წყაროსთან, აქ კი იმართებოდა ცეკვა-თამაში. როცა გულს იჯერებდნენ ავებდნენ კოკებს და ისევ სიმღერით ბრუნდებოდნენ უკან.

ერთ სალამოს საბედო ჩამორჩა თავის ტოლ ამხანაგებს. სახლში საქპარო საქმე ქადა და სანამ მორჩებოდა გოგოები ნელ ნელა გაუღდენ გზას, იმ იმედით, რომ საბედო დაეწეოდა. წყაროსთან უკვე მისული იქნებოდნენ, როცა საბედო მორჩა საქმეს, დაავლო კოკას ხელი და სირბილით გაქანდა. ნახვარი გზა უკვე გავლილი ქონდა, რომ ის უცბათ შედგა გაქვავდა, მკედრის ფერი დაედო, მის სახეზე თავგანწირული შიში გამოიხატა, პირი დააღო, რომ დაეყვირა, მაგრამ თითქოს ვიღაცამ ხმა წაართო, საცოდავით დოიქავლა, მუხლები ჩაეკეცა. სწორეთ იმ აღვილას, სადაც ხევის პირათ ბილიკი უხვევს გამოჩნდა ვეებერთელა კოფიანი ძაღლი, პირდაღრენილი და ენა გაღმოდებულნი ის პირდაპირ საბედოსკენ მოექანებოდა ხსნა არსაიდან იყო, მხოლოდ ორი გზა და დარჩენოდა საბედოს, ორივე დამღუბელი. ან უნდა ხევი გადაიხტილიყო, სადაც მხოლოდ განგებას შეეძლო მისი გადაჩენა და ან პირში უნდა მისცემოდა კოფიან ძაღლს. საბედომ უკანასკნელად უიმედოთ თვალი მოავლო მიდამოს, იქნებ კიდევ ენახა რაიმე გზა თავის ხსნის და ძაღლი თითქმის დაუხლოვდა, რომ ვიღაც ყვირილით თავგანწირულათ დაეშვა კლდიდან. ერთ წუთში საბედოსა და ძაღლს შუა ბილიკზე დაიბადა შაქრო, მტრის დასახედრათ გამზადებული. საბედომ დაყვირება ვერ მოასწრო, რომ ძაღლი უკვე გაჩნდა შაქროს წინ და უკანა ფეხზე შედგა, რომ სცემოდა, მაგრამ მძლავრმა ხელებმა ის მიწაზე დაანარცხეს.

შაქრო ვეფხვით ეცა ყურებში, დასცა ძირს და ყელში მაგრათ ორივე ხელები წაუჭირა. საბედო ჩაიკეცა.

— საბედო! მიშველე, დანა ამომადრე ქარქაშიდან — თავგანწირული ხმით შესძახა მან.

საბედო გონს მოვიდა, დიდის გაჭივრებით მიბობლდა მისთან და ქამარზე ჩამოკიდებულ ქარქაშიდან ვეებერთელა დანა ამოადრო.

— აბა საბედო. მოდი აქ, დაჰკა აი კისერში, მე არ შემძლია ხელები გავუშვა.

საბედომ ხელის კანკალით ნელი დააჭირა დანა კისერში, როგორც იქნა რის ვი ვაგლახით გამოსჭერეს ყელი ძაღლს. შაქრო წამოადგა ფეხში ხელი წაავლო და ხევისკენ გადაუძახა. ერთხანს ორივე ხმა ამოუღებლათ იღგენ. ორივეს გულს საშინელი დაგა დუგი გაქონდა, ორი თავდავიწყებამდე შეყვარებული ადამიანი ერთი მეორეს მისჩერებოდა, თვლებით სჯამდენ ერთმანეთს. ასეთმა მდგომარეობამ უშაღლეს წერტილს მიახწია, უხმოთ უსიტყვოთ უცბათ ორნივე ჩაეკვრენ ერთმანეთს გულში, მათი ტუჩები ჩაეკონენ, საშუალოთ შეეკრიდნენ.

— ჩემო იმედო, ჩემო ღმერთო! ისმოდა შაქროს გულიდან ამონახეთქი ხმა.

— შაქრო! შაქრო! — მხოლოდ ეს სიტყვები უერჩა პირში ღონე მიხდილ საბედოს ის მთლად მიეკრა შაქროს, მიიზნიდა.

— საიღამ გაჩნდი ასე ჩქარა?

— მე ყოველ სალამოს აქ კლდეზე ვხივარ როცა შენ წყაროზე მიდიხარ და ვსტებები შენის მხერით, ეხლაც ასე ვიჯექი, რომ დაეინახე საშინელი ამბავი და გადმოხტი.

ორნივე ისევ ჩაეკვრენ ერთმანეთს გულში და კარგა ხანს იყვენ ასე გადახვეულნი. ბოლოს ორნივე წყაროდან მომავალ გოგოების ხმამ გამოარკვია. საბედომ კოკას ხელი დაავლო და შეეგება მიმავალ გოგოებს. უამბო ყველაფერი როგორც იყო საქმე ყველანი გავიდნენ, არ სჯეროდათ ეს დაუჯერებელი ამბავი. ბოლოს როცა ხევიში ჩაღებულნი ვეებერთელა ძაღლი დაინახნენ ყველამ დაიჯერა. ყველა შურის თვალით უყურებდა საბედოს.

შაქრო ლამაზი და შნოიანი მოსული ბიჭი იყო, სოფელში ტოლი არ ჰყავდა. მაღალი, მზარ ბეჭიანი, ახლად აფურჩქნელი წვერ უღევაში, სახის გამომეტყველება გულადი. სოფლის არა ერთ და ორ გოგოს რჩებოდა ზედ თვალი, მაგრამ ამათ შაქრო არავის ყურადღებას არ აქცევდა მისი გული მთლათ საბედოს დაესაყურებია.

კოფიანი ძაღლის ამბავი და შაქროს შეუპოვარი მოქმედება მსწრაფლ მოიქცა მთელ სოფელს.

ყველანი გაოცებულნი იყვენ, როგორ ჩაიდინა ასეთი გასაოცარი საქმე.

ამ დღიდან შაქრო და საბედო საბოლოოდ დარწმუნდენ, რომ მათ მტკიცეთ უყვარდათ ერთმანეთი, მათი ბედი მავრათ იყო გადახლართული და მათი დაშორება არავითარ ძალას აღარ შეეძლო. ამიტომ, როგორც შეყვარებულთ სჩვევიათ, ხშირ ხშირათ ნახულობდენ ერთმანეთს, ჩუმთ, ქურდულათ და უზომო ბედნიერებას ეძლეოდენ.

საბედოს მანა, სოლიკო კახიშვილი, კი შეძლებული გლეხი იყო. ისეთი მართალი და პატიოსანი გლეხი მთელ სოფელში არავინ იყო. ვერავითარ უსამართლო²ას ვერ მოითმენდა, ვინც უნდა ყოფილიყო მაშინვე პირში უნდა მიეხალა სამაგიერო. ვინც კი რაიმე საქმე ქონდა ყველა მას ჰკითხავდა რჩევას. ისე სასოფლო საქმე არ გაკეთდებოდა, რომ სოლიკოს მთავარი მონაწილეობა არ მიეღო შიგ. ყველა, დიდიდან პატარამდე, პატივისცემით ეპყრობოდა. სოლიკო ადრე დაქვრივდა, დარჩა ერთათ ერთი¹ნუგეში—საბედო. მასზე ამოსდიოდა მზე, ის იყო მისი სიცოცხლე, მასთან იყოფდა ჰიროსა და ლხინს. მისი ერთათ ერთი სურვილი იყო შესაფერი ქმარი გამოენახა მისთვის, დაექორწინებია, ჩაეზარებია გაკეთებული ოჯახი და მერე დამშვიდებით იქნებოდა. ბევრი ახალგაზღვბი ეძლეოდა საბედოს, მაგრამ სოლიკოს არც ერთი არ მოსწონდა. როცა საბედომ უაზრო შაქროს აშბავი, სოლიკო ჩაფიქრდა, ულგაშებში ჩაიციინა და ცოტა ხნის შემდეგ მტკიცეთ შევიდა:

— შეილო საბედო, სწორეთ, რომ შენი შესაფერია შაქრო, იმ დროს განგებას გამოუგზავნია შენთვის, ისეთ ქმარს ვერავის იშოვი, დამოლოცნიხართ.

ათრთოლებული ხმით წარმოსთქვა სოლიკომ, მავრათ ჩაიკრა გულში საბედო და ცრემლები გადმოსცივდა.

— მე ვიცნობ, შეილო, შაქროს, ისეთი ერთგული, მართალი და მშრომელი კაცი ძვირია ჩვენ სოფელში. ექვი არაა მას შენ უყვარხარ. სწორეთ ასეთი ქმარი მინდოდა შენთვის და აკი განგებამ თვითონ გამოგვიგზავნა.

ამ დღიდან შაქრო სოლიკოს ოჯახის წევრი შეიქნა— თავისუფლათ დადიოდა მის ოჯახში. უკვე ქორწილის დღეც დანიშნეს. სოლიკო დიდის ამბით ეშხალებოდა ქორწილისთვის, მაგრამ ბედი მას სხვაუშხალებდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც საერთო ქართველი ჯერაც სულ არ ჩამდგარიყო. მთავრობა სცილობდა ხალხის საბოლოოთ განადგურებას და გა-

ნაგრძობდა თავის რეპრესიებს. ერთი ამ მთავარ რეპრესიებთაგანი იყო მთავრობის მამასახლისი. ძნელათ გადაჩრა რომელიმე სოფელი, რომ მთავრობის მამასახლისი არ დაენიშნათ რამდენიმე დარაჯით.

ვერც ქუცნიანთკარი ასცდა მთავრობის მამასახლისს. სოფლის მოსარჯულეზლათ მთავრობამ იქ დანიშნა ვილაც მარკოზა დათვაძე ხუთი დარაჯით. დათვაძემ თან მოიყვანა თავის განუყრელი მეგობარი მწერალი ტერენტი ბუზმენტაძე. ამ დღიდან სოფელს თავისუფლათ აღარ ამოუსუნთქია. დათვაძე მეტათ გახრწნილი და სასტიკი კაცი აღმოჩნდა. მისი ერთათ ერთი სიამოვნება იყო ხალხის წვალება. მოსვლისათანავე მან თავი მოუყარა მთელ სოფელს. გლეხები სამუშაოს მოცდენ და დილა აღრიან გამოცხადდენ სოფლის სამმართველოსთან. მზე უკვე სამუდამოზე გადავიდა, რომ მარკოზა არსად სჩანდა. ხალხს მოუთმენლობა დაეტყო. ყველაზე მეტათ სოლიკო ცხარობდა.

— არა, ღმერთი აღარ არის ქვეყანაზე? მთელი დღე სამუშაოს მოცდით, დილას აქეთია იქ ვართ გაჩერებული და ნეტა რისთვის, ან ვისთვის? განა მაგათ ღმერთი სწამთ, რომ ასე ულანაშაულოთ გვტანჯავენ? მაშ კარგ ვინმეს ჩვენ ვინ გამოგვიგზავნიდა?

ხმა მალდა საყვედურობდა სოლიკო.

ბოლოს, როგორც იქნა, სამმართველოს აივანზე გამოჩნდა ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწყობილი პატარა ტანის კაცი, მისი წვრილი თვალები, მსუნაგი ცხვირი და პატარა უნამუსო შუბლი ამტიცებდენ, რომ ის მეტის მერი გაიძვერა ვინმე იყო. მას თან გამოჰყვა ისეთივე გაიძვერა მწერალი ტერენტი ბუზმენტაძე; ორათ გაყოფილი პატარა წვერი, დირონი უაზრო თვალები, მომსხო ცხვირი და შუაზედ გაყოფილი შეთხელეებული თმა ამშვენებდენ მის უნამუსო სახის მოხაზულობას. ტანთ გრძელი სახაფხულო პალტო ეცვა, საკმათ გახუნებული, ხელში დიდის სიფრთხილით რაღაც ქალღლები ეჭირანის თათის ფრჩხილებზე მისდევდა მარკოზას, როგორც დაგეშოლი გოშია. გაჩერდა თუ არა მარკოზა, ის მოწიწებით გვერდით ამოუდგა, ეშმაკურათ გადახედა ხალხს და უნამუსოთ ჩაიციინა.

— ხალხნო!—წამოდგა წინ მარკოზა და რიხიანი ხმით დაიწყო—მე გამოგზავნა თქვენთან მთავრობამ, რომ აღმოვეფხრა თქვენში ყოველივე ბოროტება, ავახაკობა და დავამყარო მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა. ეს თქვენზეა დამოკიდებული, თქვენ უნდა დამეხმაროთ, უნდა მომცეთ ცული კაცები, ავახაკები; დამეხმარეთ და მთავრობაც არ მოგაკლებთ თავის წყალობას.

— კეთილი და პატიოსანი — წამოდგა წინ მოხუცი სოლიკო — მთავრობის წყალობაზე აბა უარს ვინ იტყვის, მაგრამ ერთი ეს რა სამართალია რომ მთელი დღე აქ გვატყვევებთ ამ სიტყვებზე — ში. ჩვენ მუშა ხალხი ვართ, მუშაობით ვცხოვრობთ და თუ ასე მოვცდით ყოველდღე, ვიღა შეგვინახავს?!

— დიახ, მართალია, მართალი — აყაყანდა ხალხი.

— ჩემოთ, როგორ ბედეთ! — ბრაზიანათ დიდრიდალა მარკოზამ — აი ეს არის მთავრობის წინააღმდეგობა. თუ მე გავაჩერებ დღეს, ალბათ ეს საჭიროა, უნდა იცოდეთ, რომ მთავრობა მუდამ სამართლიანათ იქცევა. მთავრობა უსამართლობას არ ჩაიდენს, თქვენც უნდა დაუჯეროთ და ისე მოიქცეთ, როგორც გობრძანებენ. შენ ვინა ხარ, ბებერიო? — დაუბრიალა თვალები მან სოლიკოს — შენ შენს ტყავში დაეტიე და ხალხს ნუ აბუნტებ, თორემ ხომ ხედავ? მარკოზამ მისი განუყრელი მეგობარი დიდი მათრახი შეიმალა და ხალხს უჩვენა — ურჩს და ავაზაკს მთავრობა ამით სცემს პასუხს.

— ბატონო მამასახლისო, უნდა მოგახსენოთ, რომ ძალადობა და მათრახის ცემა ვერაფერი სამართალია, თუ თქვენ გინდათ მაგიითი დამყაროთ ჩვენში მშვიდობა, ტყუილი იმელია.

— ბებერიო! თავი ხომ არ მოგძულდება! ჩემოთ თორემ გაჩვენებ სიერს.

— თუ იმიტომ დავგიძახებთ, რომ ჩვენი აზრი გაიგოთ, ეს არის და თუ არა, რაღა საჭირო ვართ, სახლში გიახლებით.

— დიახ, სწორეთ ასეა — გაისმა ხალხის გუგუნნი.

მარკოზასთვის ეს მეტის მეტი იყო, ასეთ თავხედობას ის ვერ ითმენდა. სახე გაუწითლდა, თვალები გადმოეკარკლა და ბრაზ-მორაეულმა გასცა ბრძანება — დარაჯები დარეოდა ხალხს.

ბრძანება ხელათ სისრულეში მოიყვანეს, დარაჯები დაერივნენ ხალხს და უმოწყალოთ დაუწყეს ცემა. ზოგი აქეთ გარბოდა თავ-პირ დამტყვევლი, ზოგი იქით. ყველაზე უმოწყალოთ საბრალო სოლიკოს სცემეს ჯერ მათრახებით შემდეგ ფეხქვეშ შეიდეს და მანამდე სცემეს, სანამ გული არ წაუვიდა.

ხალხი გაიფანტა. თავ პირ დასიებული სოლიკო ძლივს წამოდგა და წვიდა სახლში გულდათუთ-ქული, რომ ასე უღვთოთ და უსამართლოთ მოექცენ. ამ ამბავმა ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

— თუ მაგათ მაგრათ არ მოვეუქირეთ მუხრუქი არ შეიძლება — სიამოვნებით ამბობდა მარკოზა და ამ პირველი გამარჯვებით კმაყოფილი სოფლის სამართველოს აივანზე გაჩქარებით დადიოდა.

— თუ ეგ ბებერი კატა თავიდან არ მოვიშორებ, ძალიან ხელს შეგვეშლის. — შეშვარავის კილოთი გამოეხმაურა იქვე მდგომი მწერალი ტერენტი ბუზმენტაძე და ნიშნათ იმისა, რომ ასეთი ბრძნული ჩრჩევი მისცა თავის ბატონს, თვალეზი რაღაც არა ჩვეულებრივით აათამაშა და უღვაშები გააცა-მაკუნა.

— მაგაზე ადვილი რაღა არის, მაშ რის მარკოზა ვარ თუ ის ცივი ქვეყნისკენ არ გავაქანე. შენ მართალი ხარ, ჩემო ტერენტი, იმ ბებრის მოშორება საჭიროა და ძალიან ჩქარაც. საშუალება მრავალია ჩვენს ხელთ — იქნებ სულაც გავამზავროთ საიქიოს... მაგრამ ეხლა ამას თავი დავანებოთ, ამდღამ მოვილაპარაკოთ როგორ მოვიქცეთ, ცოტა ხანს დავისვენებ და მერე შემოდი ჩემთან — მარკოზა ოთახში შევიდა

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ ღამეს, როცა დადლიდ დაქანცული სოლიკო ტუბლათ ვახშამს შეექცეოდა, უტბათ კარები დაუბრაზუნეს. სახედო ფიცხლავ წამოდგა და კარები გააღო; ის შეშინებული უკან გაიქცა. კარებში იდგენ მარკოზა და ტერენტი, დარაჯებს სახლისთვის ალყა შემოერტყათ.

მარკოზას დანახვაზე სოლიკო გაშეშდა, ენა ჩაუვარდა, მის გვერდით მჯდომ შაქროს გადახედა, შემდეგ მარკოზას შეხედა და ძლივს წარმოსთქვა.

— მობრძანდით!

— ვახშამს მიირთმევთ? — დამკინავის კილოთი წარმოსთქვა მარკოზამ და შემოვიდა, შემოსვლისთანავე მან თვალი მოკრა იქვე მდგომ შეშინებულ სახედოს და გაშეშდა. მისმა სულამაზემ ის მოხიზლა, მსუნავი გრძობა აღდგრა გულში.

— ჩვენ უნდა ვაგზირიკოთ თქვენი სახლი, თქვენზე გვითხრეს, რომ შემწეულ კაცებს და იარაღს ინახავთ — ბოლოს ძლივს თვალი მოაშორა მარკოზამ სახედოს და მკაცრათ წარმოსთქვა.

— ტყუილია — მტკიცეთ წარმოსთქვა სოლიკომ, ზეზე წამოდგა და წელში გაიმართა — მე მართალი კაცი ვარ, უსამართლობა მიუღეს, აი ჩემი დანაშაული, ეს თუ დანაშაულობაა, სხვა ყველაფერი ტყუილია.

— ენახოთ! ჩილიაპარაკა მარკოზამ და ბრძანება მისცა დარაჯებს შესდგომოდენ ჩხრეკას. დარაჯები მოედვენ სახლს და სულ გადააქოთეს იქაურობა, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს.

მარკოზა ჩამოჯდა იქვე მაგიდასთან და შეუღვა გამოკითხვას.

— აბა ეხლა გვითხარი ვინ არიან თქვენთან, რომ შემწეული კაცები ინახვენ თავს? უნდა დავ-

ვისახელო, თორემ ვაგაციმობრებთ, ხომ იცი მე ყველაფერი შემოდია.

— მე შემწეულ კაცს არავის ვიცნობ, არც საქმე მქონია და არც ჩემს სახლში ყოფილა—მტკიცეთ წარმოსთქვა სოლიკომ.

— სტყუი! თუ სიბართლეს არ იტყვი, მათრახით გათქმეინებ. ეს ვინა ბრძანდება? შეეკითხა ის და შაქროს გადახედა.

— ეს ჩემი სასიძო ვახლავთ.

— სასიძო? ჰმ! საზიზღრათ ჩაიცინა მარკოზამ. რა გვარი ხართ? მიუბრუნდა ის შაქროს.

— ქისტიავილი

— რა ხელობის კაცი ხართ, ან აქ რა გინდათ?

— რა ხელობის ვიქნები, სოფლის მუშა ვარ, აქ ჩემ საცოლესთან მოვედი.

— ამ დამე საცოლესთან სიარული არ გამოგონია. შენ უთუოთ შემწეული კაცი უნდა იყო.

— შარზე თუ ხართ ბატონო, არ ვიცი, თორემ ჩემთან რა საქმე გაქვთ? თავდაქერილათ წარმოსთქვა შაქრომ.

— რაც შარზე ვარ მე შენ გაჩვენებ, სწორეთ შენ გეძებდი და გიპოვნე კიდევ, რაც შეილი ბრძანდები იქ გავიგებთ ჰეი! დარაჯებო! დაიპირეთ ეს. — გასცა მან ბრძანება.

დარაჯები ხელათ გვერდით ამოუდგენ შაქროს, რომელმაც მეტის სიბრაზისაგან ტურებს კნეტა დაუწყო.

მარკოზა წამოდგა მსუნავი თვალები კატასავით განათა და საბედოს მიუხალავდა, გაჩერდა მის წინ კისერი წიბგველა და საზიზღარი ღიმილით თვალებში ჩააშტერდა.

საბედო გაშრა, შიშისაგან ენა ჩაუვარდა, არ იცოდა რა ექნა, ის მზათ იყო გაქცეულიყო სადმე, რომ მსუნავ თვალებს დასხლტომოდა ხელიდან.

— ეს არის თქვენი საცოლო? — საზიზღრათ ჩაიხიხითთა მარკოზამ—მე როგორც მამასახლისის ნება მაქვს ვაკოცო. გამათრახების ნებაც მაქვს და კოცნისაც, რა ლამაზია!—წარმოსთქვა მან და საბედოს ხელი სტაცა, რომ მოხვეწოდა საბედომ ერთი საშინლათ დაიწვილა და გაიწია, რაც ძალა და ღონე ქონდა, მაგრამ ამათ მარკოზას მაგრად ეკირა ხელი.

— მიშველეთ!—თავგანწირულის ხმით დაიწვილა საბედომ.

— მხეცო! ჯალათო!—უცბათ გაისმა შაქროს თავგანწირული ხმა, ის ელვის სისწრაფით დაუსხლტა ხელიდან დარაჯებს ვეფხვივით გადმოხტა და გამხეცებული მარკოზა ამოიღო ქვეშ და დაუწყო ცემა

— დაჰკათ! — მხოლოდ მოასწრო მარკოზამ ბრძანების გაცემა.

აქ მოხდა საშინელი ამბავი, ყველაფერი აირია. ისმოდა მხოლოდ ცემა და ადამიანთა საცოდავი კენესა ყველაფერი მიღწე მოღწეწეს. მიწაზე ფყარენ გულ წასული სოლიკო, შაქრო და საბედო.

— ხელები მაგრათ შეუკარით! აი თურმე სად ყოფილან შემწეული კაცები, მე მაგათ ვაჩვენებ, როგორ ჟნდა მთავრობის წინააღმდეგობა—ყვირო და გაცოფებული მარკოზა.

სოლიკო და შაქრო მაგრათ გაბაწრეს და სოფლის სამმართველოში წაათრეს, იმ დამეს იქ დააგდეს და მეორე დღეს მარკოზამ ხელებ გაკრული ბოქაულთან გაგზავნა. ბოქაულს სწერდა: „აღმოვაჩინე მთავრობის მოწინააღმდეგეთა მთელი ოჯახი, ჩხრეის დროს წინააღმდეგობა გამოწიეს და მოქმედებით შეურაცხყოფა მომაყენეს, ყველანი დავიპირე და გაახლებთ, ველით თქვენს მფარველობას.

— ბატონო მარკოზ! შემპარავის კილოთი მიმართა ტერენტემ, როცა ტუსალები გარეთ გამოიყვანეს და დარაჯებმა შუაში ჩაიყენეს, ჩემის აზრით კარგი იქნება გზაში სადმე ჩახოკონ, თითქო გაქცევა უნდოდათ. ის ლამაზი გოგო ჩვენ დაგვჩრება.

— საუცხოვოა, საუცხოვოა—სიხარულით წამოიძახა მარკოზამ, ერთ დარაჯს დაუძახა და ყურში რაღაც უჩურჩულა. დარაჯმა თანხმობის ნიშნით თავი დაუქნია,

შაქრო და სოლიკო გაუყენეს გზას. გასცდენ თუ არა სოფელს დარაჯები შეჩერდენ, ორივეს თოკები შეხსნენ და უკან დაიხინენ შაქროს გულმა ივრძნო რაღაც უბედურება. ის თავგანწირვით გაქანდა წინ. დარაჯებმა თოფები დახალეს. უბედური სოლიკო იქვე უსულათ დაცა შაქრო გარბოდა რაც ძალა ღონე ქონდა. დარაჯები ახლიდენ თოფებს, მაგრამ რაღაც განგებით გადარჩა და იქვე ახლოს ტყეს შეიფარა თავი

დარაჯები დაბრუნდენ და მოახსენეს მარკოზას საქმის ვითარება. მარკოზას არ ესაიბოვნა რომ შაქრო ხელიდან დაუსხლტათ, მაგრამ რას იზამდა.

საბრალო საბედო კინალამ ქუაზე შესცდა, როცა ტყვით დასახინრებული მამა მიუტანეს სახლში. მეზობლებმა მიბარეს მიწას საბრალო სოლიკო მისი ოჯახი გაბარტახდა. საბედო ტირილის მეტს არას აკეთებდა მთელი დღეები. დამკარგა საყვარელი მამა და საქმრო შაქრო გავარდა ყაჩაღათ, მას ისე დაუწყეს დევნა როგორც ტყის ნადირს. ბევრჯერ ააწიოკეს ქუცნიანთკარი მისი გულისთვის, ბევრჯერ ააწიოკეს ქუცნიანთ კარი მისი გულისთვის, ბევრჯერ ეახლა სოფელს ბოქაული და მახრის უფროსი, ვერც ვგზეკუციით და ვერც მუქარით ვერაფერი გააწყეს. ერთ დღეს მოიწყყედეს

ტყეში შაქრო, ალყა შემოარტყეს, მაგრამ მან მოკლა სამი დარაჯი, რამდენიმე ცხენი და თავს უშველა.

თუმცა ძვირათ მაგრამ შაქრო მინც ახერხებდა და ნახულობდა საბედოს. გადახვევოდენ ერთმანეთს და გულდათუთული კვითინებდნენ.

— ნუ გეშინია საბედო! სულ ასე არ იქნება, იქნებ მოგობრუნდე. ანუგეშებდა შაქრო.

მარკოზას და მის დამქაშებს სოლიკოს სახლზე ძალიან ეჭირათ თვალი, რომ როგორმე შაქრო ჩაეგდოთ ხელში ძალიან ეჭირათ თვალი, რომ როგორმე შაქრო ჩაეგდოთ ხელში.

ასე გადიოდა დრო.

შაბათ საღამო იყო. შემოდგომის ცივი ქარი ძლიერათ მიაქანებდა შავ ლევა ღრუბლებს. წვიმი საგან გაედენთილი დედამიწა და ხეები თითქოს ერთი მეორეს შესტიროდენ სუსხიან ზამთრის მოახლოვებას. მგლოვიარე ქვეყანა თან და თან უქუნეთ სიბნელეში ვახვია, ჩამობნელდა, ჩამოსივდრა ყველაფერი. ამ სიბნელეში შორს მხედველი თვლები ვაარჩევდნენ, რომ რამდენიმე აჩრდილი ფრთხილათ, ფეხ აკრფეთთ მიიპარებოდა სოლიკოს სახლისკენ. ხან შეჩერდებოდენ და ყურებ დაქცვეტილი სიბნელეში იყურებოდნენ და რაკი დარწმუნდებოდნენ არავინ იყო ისევ განაგრძობდნენ წინსვლას.

ესენი იყვენ მარკოზა თავის დარაჯებით და ტერენტე ბუზმენტაძე. მარკოზას თუმცა შაქროს შიში ჰქონდა, მაგრამ გულმა აღარ გაუძლო და გადასწყვიტა როგორათაც დასჯდომოდა ხელში ჩაეგდო საბედო.

ტირილისაგან დალილი-დაქანცული საბედო ის იყო ჩაწვა, რომ კარები დაუკაუნეს. გულმა საშინლათ ცემა დაუწყო, აფართხალდა. „შაქროა“, — გაიფიქრა მან და ყოყმანი დაიწყო, „რავი თუ სხვა ვინმე იყოს?“ კაკუნი კიდევ განმეორდა. საბედოს გულმა აღარ მოუთმინა, წამოდგა საცვლების ამარა და კარები გააღო. სიბნელეში ვიღამაც მაგრათ მოხვია ხელები.

— შაქრო ხარ გენაცვალე?

— პო შაქრო ვარ, შაქრო! უთხრა უცნობმა ხელში აიყვანა და ლოგინისკენ წაიღო.

საბედოს მეხი დაცვა, მიხვდა საშინელ ამბავს, სიბნელეში თვლებში ჩაამტვრდა უცნობს და იცნო მარკოზა. ის გამწარებული ეცა წვეკრებში და მაგრათ ჩასქიდა ხელები, თან თვეგანწირული ხმით კვილი მორთო. მარკოზა მეტის ტკივილებისგან საშინლათ დაიკლაქნა და ხელები გაუშვა. საბედო თავგანწირვით ეცა კარებს, რომ ხელიდან დასხლტომოდა გაბრაზებულ მარკოზას, მაგრამ კარებში ტერენტი გადაეღობა დარაჯებით. იმედ დაკარგული საბედო უკან გაქანდა.

— ვერ წახვალ ჩემის ხელიდან, ტყუილათ ცმუკავ ჩემო ლამაზო. — მოისმა სიბნელეში მარკოზას ხმა და ვამეგობით უკან გამოუდგა საბედოს.

სიბნელეში ისმოდა ორ თავგანწირულ ადამიანის მძიმე ქმენა, ერთი თავის დაცვის ინსტიქტით შეპყრობილი სასოწარკვეთილი ვარბოდა, რომ თავი დაეწია მხეცის კლანჭებიდან, მეორე — მხეცურ ენით ილტყინებულ, პირზე ღორბლ მომდგარი მოსდევდა მას, რომ დაეჭირა და თავის ენი მოეკლა.

ბოლოს მარკოზამ ჩასქიდა ხელები და ლოგინისკენ წაითრია. საბედო მიხვდა, რომ ილუბებოდა, საქირო იყო უკანასკნელ ძაღლონის მოკრეფა. ის ეცა მარკოზას და მაგრათ კბილები ჩაარქო მკლავში. მარკოზამ სიმწრისაგან კბილები გააბრქიალა, სისხლი თავში აუვარდა. იძრო კამრიდან მითრახი და რაც ძალა და ღონე ქონდა ტარი მაგრათ ჩაარტყა სახეში. მითრახის ტარი პირდაპირ მარცხენა თვალში მოხვდა საბედოს. თვლებიდან ცეცხლი წამოსცივდა, სისხლმა გადმოჩქეფა.

— მიშველეთ! მიშველეთ! რამდენჯერმე საშინლათ დაიკვილა საბედომ და გონება დაჰკარგა.

— გიშველოს ეხლა შენმა შაქრომ! — სახარლათ ჩაიხითხითა მარკოზამ და გრძნობა დაკარგული საბედო ლოგინზე დაასვენა.

მეზობლებმა გაიგეს, რომ რაღაც საშინელი ამბავი იყო სოლიკოსას, ზოგი გამოიქცა საშველათ, მაგრამ რა გაიგეს მამასახლისი იყო, ისევ უკან გაბრუნდენ, ამა ვინ გაბედავდა წინააღმდეგობის გაწევას.

მარკოზამ სისხლში მოსერილ საბედოს ახადა ნამუსი, გული იჯერა და კმაყოფილი დაბრუნდენ სამმართველოში.

ცოცხალ მკვდარი საბედო ძლიეს. მოაბრუნეს მეორე დღეს მეზობლებმა თვალი ძლიერ დაშავებული ჰქონდა. ძნელი იყო მისი მორჩენა.

მეორე დღეს კმაყოფილი მარკოზა ქალაქისკენ მიაქროლებდა თავის ბედაურს დარაჯების თანხლებით, რომ ერთგულ სამსახურისა და ხალხის დამშვიდებისთვის ოქროს ჯვრით დაემშვენებია გულმკერდი. მის სახეზე უსასღერო ბედნიერება იხატებოდა. ფიქრობდა როგორ დაბრუნდებოდა სოფელში ოქროს ჯვრით, როგორ მოწიწებით შეხვდებოდენ გლეხები, როგორ დაწინაურდებოდა სამსახურში, შეიძლება ბოქაულობა მიეცათ, შემდეგ მაზრის უფროსობა, გუბერნატორობა. ვინ იცის რას არ ფიქრობდა მარკოზა.

ის იყო ოთარანთ ხეცს გაუსწორდენ, მარკოზა ამაყათ მიავიგებდა წინ თავის თეთრ მერანს. უცბათ ტყიდან გამოვიარდა ვიდაც უცნობი, იძრო მაუ-

ზერი და მარკოზას დაახალს. მარკოზა ქათამივით ძირს ჩამოვარდა. ამოკენესაც ვეღარ მოასწრო ისე ამოხდა სული.

დარაჯები უცბათ დაიბნენ, გონს ვერ მოსულიყვენ როგორ მოხდა ეს. შემდეგ ასტეხეს ყოინა და უცნობს თოფები დაახალეს. უცნობი რამდენიმე ტყვიით სასიკვდილოთ დაჭრილი წაიქცა.

ეს იყო შაქრო ქისტიაშვილი.

— საბედო, სოლიკო! — ერთი ამოიკენესა მან და განუტევა სული.

საბელამ დიდხანს იავათმყოფა, მეზობლების წყალობით ის სიკვდილს ვადარჩა, მაგრამ წინანდელი საბედო აღარ იყო, გამხდარი, გაყვილებული. ცალი თვალი საშუდამოთ გაუფუჭდა, დაბრმავდა, რისთვისაც ცალ-თვალი დაარქვეს.

სოლიკოს ოჯახი უპატრონობის გამო სულ გაპარტახდა, ცალ-თვალას აღარ ედგომილებოდა. ერთი შორეული ნათესავის რჩევით ცალ-თვალი ქალაქში გადასახლდა, დიქარავა იქ ერთი მიწური ოთახი და სცხოვრობს.

გადმოწევა თუ არა მზის ოქროსფერი სხივი მახათის გორაზე, ყველასაგან დევიწყებულ ცალ-თვალას არ იეიწყებს, პირველათ მის უმწეო ქობს მიეაღერსება. ცალ-თვალი ამ დროს დერეფანში ზის და თავის საყვარელ ნიკორა ხბოს ეხვევა ყელზე,

ვიღერსება. მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ის შერჩენია, ადამიანებზე საბოლოოთ გულ-კატეხილს მხოლოდ ნიკორას ეთილი თვალეზის და ბრტყელ ბრტყელი კბილების დანახვა ასულდგმულებს.

ასე ატარებს დღეებს ცხოვრების გულიდან ამოგლეჯილი და შორს გარიყული ცალ თვალი.

დრო კი მიდის...

იჩეთელი.

1910 წ. 27 დეკემბერი

თფილისი.

ელექტრომბეჭდავი ამხსანგობა

„მ რ მ მ ა“

რუსის ქუჩიდან გადავიდა მუხრანის ქუჩაზე № 12.

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდავ საქმეებს: წიგნებს, გაზეთებს, ბლანკებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. ქართულ და რუსულ ენებზე.

საქმეებს ასრულებს სუფთად და სწრაფად.

ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში.

პირველ იანვრიდან გამოდის ყოველ კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

„საღამურნი“

შუკნალი ფლიუკათ ღირს 5 მანეთი თვიურათ 50 კაპ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, ახალი ამბები, კორესპონდენციები და სხვა.

ხელის მოწერა **მხოლოდ თვიურათ მიიღება.** ვინც გამოგზავნის ამ შაურს ფულს ან ფოსტის მარკებს, მას გაეცხვენება **ხუთი** ნომერი.

იმ ხელების მომწერლებს, რომლებსაც ჟურნალი „სხიში“ მთელის წლით ჰქონდათ გამოწერა-ლი დანაკლისი ნომრები გავეზავნებათ.

კორესპონდენციები, სხვა წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოგზავნოს, Тифლისь Типография „Шрома“ Мухранская ул. № 12, Теофилу Эрастовичу Болквадзе, для саламури